იმისთვის, ვინც დილით და საღამოს მეჩეთში მიდის, ალლაჰი ამზადებს ადგილს სამოთხეში ყოველ ჯერზე, როდესაც [ის ამას აკეთებს]

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «იმისთვის, ვინც დილით და საღამოს მეჩეთში მიდის, ალლაჰი ამზადებს ადგილს სამოთხეში ყოველ ჯერზე, როდესაც [ის ამას აკეთებს]».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სასიხარულო ცნობა გაუგზავნა მათ, ვინც მეჩეთში მიდის თაყვანისცემისთვის, ცოდნის შესწავლისთვის ან სხვა კეთილი მიზნებისთვის, იქნება ეს დღის დასაწყისში თუ დასასრულში. მან აცნობა, რომ ალლაჰმა მათთვის სამოთხეში მოამზადა ადგილი და სტუმართმოყვარეობა. ყოველ ჯერზე, როდესაც ისინი მეჩეთს სტუმრობენ, იქნება ეს დღისით თუ ღამით, მათ ელით ჯილდო და ალლაჰის წყალობა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/5436